

შპს “ფასტფეი”

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს “ფასტფეი” სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	23

შპს პარკერ რასელ საქართველო
პ. ქავთარაძის I შესახვევი, №10
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ფასტფეი”-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს “ფასტფეი” (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი), ასევე საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოება

როგორც ჩვენი 2019-2020 წლების აუდიტის ნაწილი, ჩვენ ასევე შევამოწმეთ კორექტირებები, რომლითაც გადაანგარიშდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება. ჩვენი აზრით, ეს კორექტირებები შესაბამისია და სწორად იქნა გამოყენებული. გარდა აღნიშნული კორექტირებებისა, ჩვენ არ ჩავიტარებთ აუდიტი ან მიმოხილვა ან სხვა პროცედურები 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვტავთ არანაირ რწმუნებას 2018 წლის მთლიანად აღებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია,

რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი დადასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან/და შეწყვიტოს მუშაობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე:



- ❖ ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ❖ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- ❖ სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა დაპირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ❖ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა. ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

შპს “პარკერ რასელ საქართველო”-ს (SARAS-F-659025) სახელით

ანა აფრიაშვილი (SARAS-A-104236)

გარიგების პარტნიორი

26 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

- ❖ ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ❖ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- ❖ სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა დაპირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ❖ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა. ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩათვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

შპს "პარკერ რასელ საქართველო"-ს (SARAS-F-659025) სახელით

ანა აფრიაშვილი (SARAS-A-104236)
გარიგების პარტნიორი



26 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

შპს "ფასტფი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	144,475	24,138	2,515
არამატერიალური აქტივები	5	103,151	1,390	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		247,625	25,528	2,515
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	48,403	2,400	-
საგადასახადო აქტივები		-	8,922	4,805
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	11,908,390	2,903,642	1,086,382
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,956,792	2,914,965	1,091,188
მთლიანი აქტივები		12,204,418	2,940,493	1,093,703
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	130,836	10,836	10,836
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		147,197	533,230	27,188
სულ კაპიტალი		278,033	544,066	38,024
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	11,848,787	2,396,427	1,055,679
საგადასახადო ვალდებულებები		77,598	-	-
მთლიანი ვალდებულებები		11,926,384	2,396,427	1,055,679
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		12,204,418	2,940,493	1,093,703

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
ალექსანდრე ღვინევაძე



მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს "ფასტფეი"

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

მოგება - ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	10	4,550,664	3,120,990	125,384
საერთო მოგება		4,550,664	3,120,990	125,384
სხვა შემოსავლები	12	81,230	2,583	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(3,004,089)	(1,551,603)	(76,962)
მიწოდების დანახარჯები		-	-	-
სხვა ხარჯები		(59,413)	(24,814)	(20,201)
საოპერაციო მოგება		1,568,420	1,547,157	28,221
ფინანსური ხარჯი		(3,765)	(763)	(1,033)
მოგება დაბეგვრამდე		1,564,626	1,546,394	27,188
მოგების გადასახადი	13	(292,599)	(156,053)	-
წმინდა მოგება		1,272,027	1,390,341	27,188

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერი პირები:


 დირექტორი
 ალექსანდრე ღვინეფაძე



 მთ. ბუღალტერი
 მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ფასტპეი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-
საწესდებო კაპიტალი	10,836		10,836
წმინდა მოგება		27,188	27,188
გაცემული დივიდენდები			-
2018 წლის 31 დეკემბერი	10,836	27,188	37 188
2019 წლის 1 იანვარი	10,836	27,188	37 188
საწესდებო კაპიტალი			
წმინდა მოგება		1,390,341	1,390,341
გაცემული დივიდენდები		(884,299)	(884,299)
2019 წლის 31 დეკემბერი	10,836	533,230	543,230
2020 წლის 1 იანვარი	10,836	533,230	543,230
საწესდებო კაპიტალი	120,000		120,000
წმინდა მოგება		1,272,027	1,272,027
გაცემული დივიდენდები		(1,658,061)	(1,658,061)
2020 წლის 31 დეკემბერი	130,836	147,197	278,033

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერი პირები:


დირექტორი
ალექსანდრე ღვინეაძე




მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს "ფასტფაი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წმინდა მოგება		1,272,027	1,390,341	27 188
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:				
- გადასახადები		322,396	159,865	52
- ცვეთა და ამორტიზაცია		292,599	156 053	
- ცვლილებები საშუალო კაპიტალში		29,797	3,813	52
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		9,492,878	1,334,230	1 050 874
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(46,002)	(2,400)	
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		9,195,319	1,072,902	931 792
- მიღებული ავანსები		86,520	(4,117)	(4 805)
		257,041	267,846	123 887
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		11,087,301	2,884,437	1,078,113
- გადახდილი მოგების გადასახადი		(292,599)	(156 053)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		10,794,702	2,728,384	1 078 113
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
- ძირითადი საშუალებების შეძენა		(131,894)	(26,826)	(2 567)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(131,894)	(26,826)	(2 567)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)				10 836
- სასესხო ვალდებულების ზრდა				
- სასესხო ვალდებულების დაფარვა				
- გადახდილი დივიდენდები		(1,658,061)	(884,299)	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,658,061)	(884,299)	10 836
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		9,004,747	1,817,260	1,086,382
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი		2,903,642	1,086,382	--
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		11,908,390	2,903,642	1,086,382

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია
2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერი პირები:


დირექტორი
ალექსანდრე ღვინევაძე




მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ფასტფი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	144,475	24,138	2,515
არამატერიალური აქტივები	5	103,151	1,390	
სულ გრძელვადიანი აქტივები		247,625	25,528	2,515
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	48,403	2,400	-
საგადასახადო აქტივები		-	8,922	4,805
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	11,908,390	2,903,642	1,086,382
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,956,792	2,914,965	1,091,188
მთლიანი აქტივები		12,204,418	2,940,493	1,093,703
პასივობები				
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	130,836	10,836	10,836
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		147,197	533,230	27,188
სულ კაპიტალი		278,033	544,066	38,024
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	11,848,787	2,396,427	1,055,679
საგადასახადო ვალდებულებები		77,598	-	-
მთლიანი ვალდებულებები		11,926,384	2,396,427	1,055,679
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		12,204,418	2,940,493	1,093,703

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
ალექსანდრე ღვინეფაძე

მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

შპს “ფასტფეი”

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

მოგება - ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	10	4,550,664	3,120,990	125,384
საერთო მოგება		4,550,664	3,120,990	125,384
სხვა შემოსავლები	12	81,230	2,583	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(3,004,089)	(1,551,603)	(76,962)
მიწოდების დანახარჯები		-	-	-
სხვა ხარჯები		(59,413)	(24,814)	(20,201)
საოპერაციო მოგება		1,568,420	1,547,157	28,221
ფინანსური ხარჯი		(3,765)	(763)	(1,033)
მოგება დაბეგვრამდე		1,564,626	1,546,394	27,188
მოგების გადასახადი	13	(292,599)	(156,053)	
წმინდა მოგება		1,272,027	1,390,341	27,188

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
ალექსანდრე ღვინევაძე

მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ფასტფეი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-
საწესდებო კაპიტალი	10,836		10,836
წმინდა მოგება		27,188	27,188
გაცემული დივიდენდები			-
2018 წლის 31 დეკემბერი	10,836	27,188	37 188
2019 წლის 1 იანვარი	10,836	27,188	37 188
საწესდებო კაპიტალი			
წმინდა მოგება		1,390,341	1,390,341
გაცემული დივიდენდები		(884,299)	(884,299)
2019 წლის 31 დეკემბერი	10,836	533,230	543,230
2020 წლის 1 იანვარი	10,836	533,230	543,230
საწესდებო კაპიტალი	120,000		120,000
წმინდა მოგება		1,272,027	1,272,027
გაცემული დივიდენდები		(1,658,061)	(1,658,061)
2020 წლის 31 დეკემბერი	130,836	147,197	278,033

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
ალექსანდრე ღვინეფაძე

მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

შპს “ფასტფი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება	1,272,027	1,390,341	27 188
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>			
- გადასახადები	322,396	159,865	52
- ცვეთა და ამორტიზაცია	292,599	156 053	
- ცვეთა და ამორტიზაცია	29,797	3,813	52
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	9,492,878	1,334,230	1 050 874
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(46,002)	(2,400)	
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9,195,319	1,072,902	931 792
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	86,520	(4,117)	(4 805)
- მიღებული ავანსები	257,041	267,846	123 887
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	11,087,301	2,884,437	1,078,113
- გადახდილი მოგების გადასახადი	(292,599)	(156 053)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10,794,702	2,728,384	1 078 113
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(131,894)	(26,826)	(2 567)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(131,894)	(26,826)	(2 567)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)			10 836
- სასესხო ვალდებულებების ზრდა			
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა			
- გადახდილი დივიდენდები	(1,658,061)	(884,299)	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,658,061)	(884,299)	10 836
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	9,004,747	1,817,260	1,086,382
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	2,903,642	1,086,382	--
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	11,908,390	2,903,642	1,086,382

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2021 წლის 26 სექტემბერს.

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
ალექსანდრე ღვინეფაძე

მთ. ბუღალტერი
მერი საკანდელიძე

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ფასტფეი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “ფასტფეი” (ს/ნ 405273289) დაფუძნებულია 2018 წლის 29 მაისს. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პ. ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 4 ბ. 63.

კომპანიის მფლობელები არიან: ლაშა ბანძელაძე 33,33%, ალექსანდრე ღვინევაძე 33,33% დანიელ რატიანი 33,34%.

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე ღვინევაძე.

შპს “ფასტფეი” წარმოადგენს ელექტრონულ საფულეს, რის დახმარებითაც მომხმარებელს რეგისტრაციის შემდეგ ეძლევა საშუალება განახორციელოს ფულადი ოპერაციები ელექტრონულად: შეიტანოს ფული ანგარიშზე, განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ტრანზაქციები, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები და სხვა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
1 USD/GEL	3,2766	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	4,0233	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მიხედვით.

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარის ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია და გადაანგარიშებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ წლებთან შესაბამისობისათვის, მსს ფასს-ის მოდული 35 - „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ

ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული

ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისიმილების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება- ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი

გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 7 წელი.

კომპანიაში შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება განისაზღვრება კრების ოქმით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია წარმოადგენს „საგადახადო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელის საგადახადო მომსახურებას უწევს მომხმარებელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადახდო მომსახურება.

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შემსრულებლის ვალდებულებას დაპირებული მოსახურების კლიენტისთვის გადაცემის შესახებ. შესრულების ვალდებულების დასრულების შემდეგ, კომპანია საოპერაციო ღირებულებების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა.

საგადახდო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე, დარიცხვის მეთოდის მიხედვით, იმ წესების დაცვით რასაც მიგვითითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

საანგარიშო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყოველი თვის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარება ხდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

იჯარის აღრიცხვა

საოპერაციო იჯარის გადახდები იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარდება ხარჯებში, მასთან დაკავშირებული რემონტის ხარჯები, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს კაპიტალიზდება „იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის“ ანგარიშზე და ერიცხება ცვეთა ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიხედვით. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, გაწეული რემონტის ხარჯს აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნარჩენი ღირებულება ჩაითვლება მომსახურების გაწევად, დაიბეგრება დღგ-ის გადასახადით და ამონაგები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, რემონტის დანახარჯები აღიარდება ხარჯად და მოხდება მისი სრულად ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით, კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცემულობით, რა მოცემულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ზოგად კრებაზე სარგებლობენ პროპორციული ხმის მიცემის უფლებით კომპანიის აქციებში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა მმართველობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ანგავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შპს “ფასტფეი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავთო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2018				-
შემოსვლა	2 227	340		2 567
გადაფასება				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2018	2 227	340	-	2 567
შემოსვლა	22 220	3 216		25 436
გადაფასება				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2019	24 447	3 556	-	28 003
შემოსვლა	28 157	52 844	50 893	131 894
გადაფასება				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2020	52 604	56 400	50 893	109 004
დაგროვილი ცვეთა				
01 იანვარი 2018 დაგროვილი ცვეთა				-
პერიოდის ცვეთა	(42)	(9)		(52)
გასვლა				-
31 დეკემბერი 2018 დაგროვილი ცვეთა	(42)	(9)	-	(52)
პერიოდის ცვეთა	(3 311)	(502)	-	(3 813)
გასვლა				-
31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა	(3 353)	(511)	-	(3 864)
პერიოდის ცვეთა	(7 787)	(2 996)	(775)	(11 558)
გასვლა				-
31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა	(11 140)	(3 508)	(775)	(14 647)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01 იანვარი 2018	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	2 185	331	-	2 515
31 დეკემბერი 2019	21 094	3 044	-	24 138
31 დეკემბერი 2020	41 464	52 892	50 118	144 475

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საბუღალტრო პროგრამა A01S	1,594	1,594	0
პროგრამა ადმინ ფასტფეი	120,000	0	0
ამორტიზაცია	(18,443)	(204)	0
სულ არამატერიალური აქტივები	103,151	1,390	0

შპს „ფასტფეი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,743	2,400	0
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	45,660		
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	48,403	2,400	0

7. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	8,462,847	2,680,599	1,086,367
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	95	32	15
ფული სალაროში	3,445,448	222,175	
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	11,908,390	2,902,806	1,086,382

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა - 10,836 ლარს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 120 000 ლარით და შეადგინა 130,836 ლარი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა გამოიწვეულია დამფუძნებლების მიერ წილების პროპორციულად ამ ღირებულების სააღრიცხვო პროგრამის კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანით, რომელიც შექმნილი იქნა ექსკლუზიურად შპს „ფასტფეის“ საქმიანობისთვის.

2020 წელს კომპანიამ გასცა დივიდენდი 1,658,061 ლარის ოდენობით. ხოლო 2019 წელს კი 884,299 ლარის ოდენობით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	39,580	33,944	17,582
მიღებული ავანსები	11,771,600	2,343,094	1,036,798
ვალდებულებები ფიზ. პირების მიმართ	4,163	232	
საკომისიო გადასახდელები	32,763	19,169	1,299
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	3		
საპენსიო სააგენტო	677	(12)	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,848,787	2,396,427	1,055,679

შპს “ფასტფი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

10. შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან	4,491,009	3,014,166	41,391
სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებული შემოსავლები		73,499	83,993
პერსონალიზაციასთან დაკავშირებული შემოსავლები	59,055	33,070	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	600	255	
სულ შემოსავალი	4,550,664	3,120,990	125,384

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019	2018
პერსონალის ხარჯი	640,854	104,148	
საბანკო მომსახურების ხარჯი	91,333	20,767	824
ცვეთა და ამორტიზაცია	29,797	4,429	52
საკონსულტაციო ხარჯები	78,248	94,078	5,400
კომუნიკაციის ხარჯი	21,603	4,631	
დაზღვევა	8,913	3,481	
დაცვის ხარჯი	15,228	3,792	
საოფისე და კომუნალური ხარჯები	91,261	5,237	143
კომერციული ბანკების მომსახ. საკომისიო	1,338,939	936,208	6,798
საპროცესინგო სისტემების ხარჯი	370,852	330,984	43,590
შესყიდვების ხარჯები	13,773		
საგადასახადო ხარჯები	17,773	0	8,843
სხვა ხარჯი	285,515	43,849	11,313
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,004,089	1,551,603	76,962

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019	2018
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	4,813	170	-
საგადასახადო შეღავათიდან მიღებული შემოსავალი	76,195	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	222	2,413	-
სულ შემოსავალი	81,230	2,583	-

13. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი	2020	2019	2018
მიმდინარე გადასახადი	292,599	156,053	-
სულ მოგების გადასახადი	292,599	156,053	-

შპს “ფასტფი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადით დაბეგვრას აღარ ექვემდებარება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება. კომპანიის მოგების გადასახადი შედგება დივიდენდების განაწილებაზე დარიცხული მოგების გადასახადისგან, საგადასახადო კანონმდებლობით სხვადასხვა ხარჯებზე დარიცხული მოგების გადასახადი სხვა საგადასახადო ხარჯების ნაწილს შეადგენს.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, შესაბამისი პერიოდისთვის დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დარიცხული მოგების გადასახადი წარმოადგენს ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადს, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საკმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

შპს “ფასტფი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 7) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და

შპს “ფასტფი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	საბალანსო ღირებულება	31-დეკ-20 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	31-დეკ-19 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულ ება	31-დეკ-18 სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	11,908,390	11,908,390	2,903,642	2,903,642	1,086,382	1,086,382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48,403	48,403	2,400	2,400	-	-
მიღებული ავანსები	11,771,600	11,771,600	2,343,094	2,343,094	1,036,798	1,036,798
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	71,851	71,851	53,333	53,333	18,881	18,881

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ ტოპ მენეჯმენტის ხელფასი 2020, 2019 და 2018 წლების მდგომარეობით:

	2020	2019	2018
მენეჯმენტის ხელფასი	30612	24,125	
სულ			

18. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან; გაუნაწილებელი მოგება და პერიოდის მოგება.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 26 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფასტფეი“ მმართველობის ანგარიშგება

(2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

შინაარსი:

1.	გენერალური დირექტორის წერილი	1
2.	კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	1
3.	კომპანიის განვითარების გეგმები	1
4.	ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	2
5.	საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	2
6.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	3
7.	მმართველობა.....	3
8.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	3
9.	დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	3
10.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5

1. გენერალური დირექტორის წერილი

შპს „ფასტფეი“ 2018 წლიდან ფუნქციონირებს და ამ პერიოდის განმავლობაში ძირითად მიზნად მომხმარებლებისთვის მარტივი, სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდებას ისახავს. კომპანია წარმოდგენილია 34 სერვის-ცენტრით მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც გადახდების განხორციელება შესაძლებელია ნაღდი ფულით, ხოლო მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპანიის პლასტიკური ბარათებით, სამი ბანკის ბანკომატებზე და პოს ტერმინალებზე.

2020 წელი სავსე იყო გამოწვევებით „ფასტფეისთვის“, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის. მსოფლიოში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა კომპანიას საქმიანობაში ხელი ვერ შეუშალა და შექმნილმა რეალობამ კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა უფრო გაზარდა, რადგან მოსახლეობას უფრო მეტად სჭირდებოდა ციფრული სერვისები. ამას მოჰყვა დამატებით 32 ფილიალის გახსნა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ჩვენი პროგნოზით მომავალში მსგავსი ტიპის პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდება და ამიტომ „ფასტფეიში“ დასაქმებული 100-ზე მეტი ადამიანი მუდმივად ზრუნავს, რომ მომხმარებლებს შესთავაზოს მათზე მორგებული პროდუქტები და ახალი სერვისები.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფასტფეი“ დაფუძნდა 2018 წელს და ის მართავს სერვის-ცენტრების ფართო ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს განახორციელონ სხვადასხვა სახის ყოველდღიური ოპერაციები მომენტალურად, ინტერაქტიულ რეჟიმში.

2020 წელს, კომპანიამ კიდევ უფრო გააფართოვა თავისი საქმიანობა როგორც განაღდების ბიზნესის, ასევე ფულადი სახსრების მართვის კუთხით. პლასტიკური ბარათებით თანხის განაღდების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 33.3 %-ით და შეადგინა 1,37 მილიონი, 2019 წელს ეს რიცხვი 1,03 მილიონს აღწევდა, ხოლო ბარათებით განაღდების მოცულობა წინა წლის 118,6 მილიონიან მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 49%-ით და შეადგინა 176.7 მილიონი ლარი, რაც საერთო განაღდების რაოდენობის 93% და საერთო მოცულობის 78.8%-ს შეადგენს. ეს განპირობებული იყო რეგისტრირებული ფიზიკური პირების რაოდენობის ზრდით, რაც მთლიანი რაოდენობის 45,5%-ია.

საღაროებში ფულადი სახსრების ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 47,84 მილიონი ლარი 2020 წელს, რაც წინა წელთან შედარებით 24-ჯერ მეტია, ხოლო საღაროების რაოდენობა 34-მდე გაიზარდა, წინა წელს ეს მაჩვენებლები შეადგენდა 1,98 მლნ-ს და 2-ს შესაბამისად.

2020 წელს ჩვენი საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 45.8%-ით გაიზარდა და შეადგინა 4.55 მილიონი ლარი, ხოლო ჩვენი EBITDA წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1,2%-ით და შეადგინა 1,56 მილიონი ლარი.

2021 წელს ფასტფეი მიზნად ისახავს საკუთარი ბიზნეს საქმიანობა გააფართოვოს ელექტრონული კომერციის კუთხით.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

ფასტფეის სტრატეგიაა, გაუწიოს სწრაფი და ხარისხიანი მომსახურება თავის მომხმარებლებს, შესთავაზოს მათ გაუმჯობესებული პროდუქტები, შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი, გადახდის განხორციელების და მიღების კუთხით. ამ ეტაპისთვის ფასტფეი ბაზარზე წარმოდგენილია რამდენიმე პროდუქტით და თითოეულ მათგანს საკუთარი კონტრიბუცია შეაქვს მომხმარებელთა ცხოვრების გამარტივებაში.

პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები - წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის უმსხვილეს მიმართულებას, რომელიც კლიენტებს საშუალებას აძლევს გაანაღდოს და გადაიხადონ მათთვის სასურველი სერვისი (ტოტალიზატორი/კაზინოები, სავაჭრო ობიექტები და ა.შ.). აღნიშნული

სერვისების მიღება შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით არსებულ საქართველოს, თიბისისა და ლიბერთის ბანკომატების და საქართველოსა და თიბისის ბანკების პოს ტერმინალების მეშვეობით. კომპანია მიზნად ისახავს მაქსიმალურად გააუმჯობესოს და მინიმუმამდე შეამციროს განაღდების პროცესში არსებული ხარვეზები და პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტუიციური, ასევე პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მყისიერად მოახდინოს მათზე რეაგირება, მომხმარებლების ინტერესის მაქსიმალური გათვალისწინებით.

4. ინფორმაცია კომპანიის სერვის-ცენტრების საქმიანობის შესახებ

კომპანია ფასტფეი 2019 წლიდან ფლობს 2 სერვის-ცენტრს, ხოლო 2020 წელს კოვიდ პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მათი რაოდენობა გაეზარდა მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, 2020 დასასრულს მათმა რაოდენობამ 34 შეადგინა.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

წმინდ მოგება (ლწმ)		(მლნ.	საოპერაციო შემოსავალი		ჯამური საშუალო კაპიტალი ¹	
კლება	8.13%	ზრდა	45.8%	ზრდა	79.1 %	
2020	1 277 364	2020	4 550 664	2020	457.5 %	
2019	1 390 341	2019	3 120 990	2019	255.5 %	
დეკვიდრების კოეფიციენტი ²		ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა ³		რენტუბელბა (მომგებიანობა) ⁴		
კლება	-0.2 PP	ზრდა	0.18 PP	კლება	-15.1 PP	
2020	1.0	2020	0.73	2020	34.4 %	
2019	1.2	2019	0.55	2019	49.5 %	

საოპერაციო მაჩვენებლები

სერვის- ცენტრები		კადრების რაოდენობა		თანხის განაღდების საერთო მოცულობა		თანხის მიღება საღრის მეშვეობით	
2020	34	2020	91	2020	224,4 მლნ	2020	186 516.04
2019	2	2019	9	2019	120,6 მლნ	2019	3 736.00

6. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შპს „ფასტფეიმ“ 2020 წელს გაზარდა სერვის-ცენტრების რაოდენობა, შესაბამისად გაიზარდა საშუალო თვიური რაოდენობა და გადააჭარბა 9 ათასს და 3.9 მილიონ ლარს შესაბამისად, რაც 2019 წელთან შედარებით ნიშნავს 18-ჯერ ზრდას რაოდენობაში, ხოლო ბრუნვაში 23-ჯერ ზრდას. ამასთან ერთად, 2020 წელს კომპანიის ჯამურმა ბრუნვამ რაოდენობაში შეადგინა 1.47 მილიონი, ხოლო მოცულობამ 224.5 მილიონი ლარი. ბრუნვის რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 43.2%-ით, ხოლო ბრუნვა გაზრდილია 86.2%-ით.

2020 წლის განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა ონლაინ პროდუქტებზე მუშაობის მიმართულება, კადრების რაოდენობა კომპანიაში გაიზარდა 10-ჯერ წინა წელთან შედარებით.

7. მმართველობა

შპს „ფასტფეიმ“ უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დამფუძნებლების მიერ. კომპანიის დირექტორი ყოველკვარტულად აორგანიზებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას, სადაც ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად თუ ამის საჭიროება არსებობს.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს შეძენილი ან გასხვისებული აქციები.

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

შპს ფასტფეის ფინანსური შედეგები მომზადებულია მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2020	2019	ცვლილება
უკუგება კაპიტალზე	457.5 %	255.5 %	79.1 %
ლიკვიდურობა	1.0	1.2	-0.2 PP
ხარჯი/შემოსავალთან	73 %	55 %	18 %
რენტაბელობა (მომგებიანობა)	34.4 %	49.5 %	-15.1 %

კოეფიციენტების განსაზღვრება მოცემულია 5-ე გვერდზე.

მომგებიანობა

შპს „ფასტფეიმ“-ის მომგებიანობის შემცირება გამოწვეულია 2020 წლის ხარჯების ზრდით, რაც დაკავშირებულია ახალი ფილიალების გახსნასთან. კომპანიის წმინდა მოგებამ 2020 წელს შეადგინა 1,272 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 8.5%-ით ნაკლებია. წმინდა მოგების შემცირება დააკომპენსირა წმინდა საკომისიო შემოსავლების ზრდამ. ამასთან ერთად, მთლიანი საოპერაციო შემოსავლები გაიზარდა 45.8%-ით, ხოლო საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 94%-ით.

□ '000	2020	2019	ცვლილება
წმინდა მოგება	1,272	1,390	8.5 %

წმინდა საკომისიო შემოსავალი

კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 3,152 ათასი ლარი, რაც წინა წლის მონაცემს აჭარბებს 51.7%-ით.

წმინდა საკომისიო შემოსავლის ზრდა განაპირობა მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ, შესაბამისად ტრანზაქციათა მოცულობის ზრდამ. წმინდა საკომისიო შემოსავალზე დადებითად იმოქმედა ფულადი სახსრების მართვის ბიზნესის განვითარებამაც.

□ '000	2020	2019	ცვლილება
საკომისიო შემოსავალი	4,491	3,014	49.00%
საკომისიო ხარჯი	-1,339	-0.936	43.1%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	3,152	2,078	51.7%

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2020 წლისთვის შეადგენდა 107 ათას ლარს, რაც 2019 წელთან შედარებით 44.2%-ით შემცირდა. კლების ძირითადი მიზეზი არის 2020 წელს სისტემაში ჩართული კომპანიების არ არსებობა, რაც ბაზარზე გამოწვეულმა ცვლილებებმა განაპირობა.

□ '000	2020	2019	ცვლილება
საკომისიო შემოსავალი	4,491	3,014	49.0%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	59	106	-44.3%
სულ საოპერაციო შემოსავალი	4,550	3,120	45.8%

საოპერაციო ხარჯები

2020 წელს მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 3,060 ათასი ლარი, რაც 2019 წელთან შედარებით 76.7%-იან ზრდას წარმოადგენს. მატების ძირითადი მიზეზი იყო ფილიალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების მატება. ამავდროულად 2020 წელს გაიზარდა ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი. ამორტიზაციის ხარჯის ზრდა გამოწვეულია არსებული არამატერიალური აქტივების ზრდით.

კომპანიის მთლიანი საოპერაციო ხარჯი/საოპერაციო შემოსავალთან 2020 წელს შეადგენდა 67,2%-ს, რაც შემცირებულია 16.7 %-ით წინა წლის იმავე მაჩვენებელზე.

□ '000	2020	2019	ცვლილება
საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები	(641)	(104)	516%
ცვეთა და ამორტიზაცია	(30)	(4)	650%
ადმინისტრაციული ხარჯი	(259)	(38)	579%
საიჯარო ხარჯი	(269)	(34)	691%
სხვა ხარჯები	(75)	(35)	114%
საკომისიო ხარჯები	(1,339)	(936)	43.1%
განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	(449)	(425)	5.6%
საოპერაციო შემოსავალი	(4,550)	(3,120)	31,41%
საოპერაციო ხარჯები/საოპერაციო შემოსავალთან	67.2%	50.5 %	16.7 %

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

კომპანიაში არასაოპერაციო ხარჯები და არასაოპერაციო შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ ფინანსურ მაჩვენებლებზე ვერ ახდენს არსებით ზეგავლენას, თუმცა 2020 წელს არასაოპერაციო შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა მიღებული საგადასახადო შეღავათის გამო, რომელიც დაწესდა ქვეყანაში შექმნილი კოვიდ პანდემიის გამო.

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

1. უკუგება კაპიტალზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავე პერიოდის მფლობელის კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე.
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად კარგად ხვდება კომპანია მის მოკლევადიან ვალდებულებებს და ის უდრის მიმდინარე აქტივები შეფარდებული იმავე პერიოდის მიმდინარე ვალდებულებებთან.
3. ხარჯი/შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან.
4. რენტაბელობა (მომგებიანობა) უდრის მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საერთო მოგებასთან.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

„ფასტფეის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის ბიზნეს პროფილიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. 2019 წლიდან კომპანიაში არსებობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ერთეული (AML), რომელიც ექვემდებარება იურიდიულ დეპარტამენტს და რომელიც არ არის ჩართული კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში, ახდენს სხვადასხვა პროცესების ეფექტურობის დამოუკიდებელ შემოწმებას და თავის მხრივ წარმოადგენს რისკების დაცვის მესამე ხაზს.

ქვემოთ ჩამოთვლილია „ფასტფეის“ ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

1. კომპანიას აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

შპს „ფასტფეი“, როგორც ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, საქმიანობა რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, მათ შორის, სახედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტებით.

2020 წელს საკანონმდებლო სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადახდო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით. საყურადღებოა გადამხდელების იდენტიფიკაციასა და ვერიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების დანერგვა. ამასთან, აღსანიშნავია დღის წესრიგში არსებული კანონპროექტები, რომელთა დამტკიცება კომპანიის მიერ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების და თანხლები პროცესების დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს.

რისკის აღწერა

სახედამხედველო ორგანოს მხრიდან განსაზღვრული ახალი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაზუსტად შესრულება შესაძლებელია გახდეს ჯარიმის დაკისრების, ზოგიერთ შემთხვევაში კი ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. ამასთან, არსებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ფინანსური, ასევე საოპერაციო და რეპუტაციული რისკი.

რისკის მიტიგაცია

კომპანიის მიერ მასზე გავრცელებული საკანონმდებლო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულების მიზნით, კომპანიის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს კომპანიაში საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებას, დანერგვას და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

2. საოპერაციო რისკები აღწერა

საოპერაციო რისკების მიმართულებით საყურადღებოა შიდა და გარე თაღლითობა. გარე თაღლითობის გავრცელებული ფორმაა კანონსაწინააღმდეგო ქმედება მომხმარებლების მხრიდან, შიდა თაღლითობა კი შეიძლება დადგეს „ფასტფის“ თანამშრომლების მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან.

საოპერაციო რისკების მნიშვნელოვანი ნაწილია ტექნოლოგიური ინციდენტები, რომელმაც თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნეს უწყვეტობის რისკი. ამასთან საყურადღებოა საოპერაციო პროცესების სისუსტეებთან დაკავშირებული რისკები.

რისკის მიტიგაცია

2020 წელს განხორციელდა ქმედითი ნაბიჯები, რომელმაც ხელი შეუწყო იდენტიფიცირებას და სწრაფ რეაგირებას და ასევე გაუმჯობესდა მონიტორინგის მექანიზმები.

გაუმჯობესებულია ინციდენტების იდენტიფიცირების და ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით, სამიტიგაციო ღონისძიებების განსაზღვრის პროცესი. საოპერაციო პროცესში სისუსტეების გამოვლენის მიზნით კი მუდმივად მიმდინარეობს კომპანიაში მოქმედი პროცესების და თანმდევ რისკების შეფასება.

3. ლიკვიდობის რისკი რისკის აღწერა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

რისკის მიტიგაცია

ლიკვიდობის რისკის გასაწესებად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ასევე ფინანსური ერთეულის მიერ მუდმივად კონტროლდება ფულადი ნაშთები სერვის-ცენტრებსა და საბანკო ანგარიშებზე, რათა დროულად მოხდეს ფულადი სახსრების მობილიზაცია.

4. საკრედიტო რისკის რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი არის რისკი, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. კომპანიას საკრედიტო რისკი წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში და ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში (ფული და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში ლიკვიდურობის გამო საკრედიტო რისკი არაარსებობს).

რისკის მიტიგაცია

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იგი აფასებს მომხმარებლის კრედიტუნარიანობას ინდივიდუალურად, სანამ იგი შესთავაზებს მომსახურების მიწოდებას გადახდის, მიწოდებისა და სხვა პირობების მიხედვით. მომხმარებელთან კრედიტუნარიანობის ანალიზის დროს მაღალი რისკის მქონე მომხმარებლებს მომსახურება მიეწოდებათ ავანსის პირობით.

5. სავალუტო რისკი რისკის აღწერა

კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკი, რომელიც არის კურსის ცვლილებით გამოწვეული. თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტით სერვისების გადახდების განხორციელება, რაც წარმოშობს ზემოთაღნიშნულ რისკს.

რისკის მიტიგაცია

ამ ეტაპზე კომპანია არ ახდენს რისკისგან თავის დაზღვევას დაბალი სავალუტო რისკის არსებობის გამო.

6. გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული რისკები რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა წარმოქმნიდეს რისკებს. საყურადღებო რისკფაქტორია კორონავირუსული პანდემია, რომელმაც თავის მხრივ შეცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - შემცირებულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილია ინფლაციის მაჩვენებელი.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის პირველადი მონაცემებით 2020 წლის მშპ შემცირებულია 6,2%-ით. მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიხედვით 2021 წლის ბოლოს წლიური საქართველოში მოსალოდნელია მშპ ზრდა 4%-მდე, ხოლო 2022 წლისთვის 6%-ს.

2020 წელს ინფლაციის დონემ საქართველოში შეადგინა 5,2%. 2021 წლის მეორე ნახევარში. ინფლაცია არის დიდი გამოწვევა როგორც საქართველოსთვის ასევე გლობალურად. ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთჯერადი ფაქტორებით და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვნად გაზრდილია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის ფასები, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯები და შესაბამისად იმპორტირებული პროდუქციის ხარჯი. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით 2021 წლის ბოლოს ინფლაციის დონე 8,5%-მდე გაიზარდა.

რისკის მიტიგაცია

კომპანია მუდმივად ცდილობს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით აწარმოოს ბიზნეს საქმიანობა, კონტრაქტორ კლიენტებსა და მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი პროდუქტებითა და სერვისებით მომსახურება; ამასთან, კომპანიის მიზანია საოპერაციო საქმიანობა მუდმივად პასუხობდეს გარემო ფაქტორებით წარმოქმნილ გამოწვევებს.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 13 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ალექსანდრე ღვინეფაძე

მთავარი ბუღალტერი

მერი საკანდელიძე

5. სავალუტო რისკი რისკის აღწერა

კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკი, რომელიც არის კურსის ცვლილებით გამოწვეული. თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტით სერვისების გადახდების განხორციელება, რაც წარმოშობს ზემოთაღნიშნულ რისკს.

რისკის მიტიგაცია

ამ ეტაპზე კომპანია არ ახდენს რისკისგან თავის დაზღვევას დაბალი სავალუტო რისკის არსებობის გამო.

6. გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული რისკები რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა წარმოქმნიდეს რისკებს. საყურადღებო რისკფაქტორია კორონავირუსული პანდემია, რომელმაც თავის მხრივ შეცვალა ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა - შემცირებულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილია ინფლაციის მაჩვენებელი.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის პირველადი მონაცემებით 2020 წლის მშპ შემცირებულია 6,2%-ით. მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიხედვით 2021 წლის ბოლოს წლიური საქართველოში მოსალოდნელია მშპ ზრდა 4%-მდე, ხოლო 2022 წლისთვის 6%-ს.

2020 წელს ინფლაციის დონემ საქართველოში შეადგინა 5,2%. 2021 წლის მეორე ნახევარში. ინფლაცია არის დიდი გამოწვევა როგორც საქართველოსთვის ასევე გლობალურად. ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთგვარადი ფაქტორებით და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვნად გაზრდილია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის ფასები, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯები და შესაბამისად იმპორტირებული პროდუქციის ხარჯი. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით 2021 წლის ბოლოს ინფლაციის დონე 8,5%-მდე გაიზარდა.

რისკის მიტიგაცია

კომპანია მუდმივად ცდილობს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით აწარმოოს ბიზნეს საქმიანობა, კონტრაქტორ კლიენტებსა და მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი პროდუქტებითა და სერვისებით მომსახურება; ამასთან, კომპანიის მიზანია საოპერაციო საქმიანობა მუდმივად პასუხობდეს გარემო ფაქტორებით წარმოქმნილ გამოწვევებს.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 13 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ალექსანდრე ღვინევაძე

მერი საკანდელიძე